

სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა ფულის “გათეთრებისთვის” ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში

კონტინენტალური ევროპის ქვეყნების სისხლის სამართალში ფულის გათეთრების შესახებ ნორმები დიდწილად ყალიბდებოდა ამერიკული პოლიტიკის გავლენით, თუმცა, გათვალისწინებულ იქნა “ფულის გათეთრებასთან” ბრძოლის სფეროში არსებული რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახის ტრადიციებიც, რამაც მიღებულ ნორმათა თავისებურებები განაპირობა [4, 308]. ევროპაში ნარკობიზნესისაგან მიღებული შემოსავლების გათეთრების კრიმინალიზაცია დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა შესაბამისი კანონები მიიღეს დანიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ნორვეგიაში.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის, იურიდიული ტექნიკის და მთლიანად სისხლისსამართლებრივი დოგმატიკის განვითარების მაღალმა დონემ, სამართალმწარმოებლის სურვილით მკაცრად დადგენილმა საზღვრებმა, კვალიფიკაციის ეტაპზე, იმთავითვე მწვავედ დასვა საკითხი ფულის გათეთრების შესახებ ნორმების კონკურენციისა და მათი გონივრული თანაფარდობის თაობაზე თანამონაწილეობის, ნაქურდალის შესყდვისა და დანაშაულის დამალვის შესახებ ნორმებთან.

ამერიკულისაგან განსხვავებით, ევროპული ნორმები გამოირჩევიან განზოგადების მნიშვნელოვნად მაღალი დონით.

ამერიკულთან შედარებით, ფულის “გათეთრებისათვის” სასჯელის ვადა (ან ზომა) პრაქტიკულად ყველგან შემცირებულია სასჯელის გონივრულ მაქსიმუმამდე არაძალადობრივი დანაშაულისათვის და არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას, ასევე ფართოდ გამოიყენება ჯარიმები. გამონაკლისს წარმოადგენს ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლი, სადაც, როგორც აშშ-ს ფედერალურ კანონმდებლობაში, გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით, ხოლო დიდ ბრიტანეთში 1986 წელს ფულის გათეთრებისათვის დადგენილი სასჯელი 14 წლის თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს¹.

ევროპაში, უფრო იშვიათად, ვიდრე ამერიკის კონტინენტზე, დანაშაულის საგანი წარმოადგენს სარგებელს, რომელიც არ არის დაკავშირებული ლეგალური შემოსავლის მიღებასთან (მაგალითად, გადასახადისაგან თავის არიდებით მიღებული სარგებელი);

ევროპაში ფულის გათეთრების შესახებ ნორმების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა სტრასბურგის 1990 წლის 8 ნოემბრის კონვენციამ “დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გათეთრების გამოვლენის, ამოღების და კონფისკაციის შესახებ”.

¹ gamonakliss warmoadgenda norvegiis sisxlis samarTlis kodeqsis 162-e muxli, sadac, aSS-is federaluri kanonmdeblobis msgavsad, Tavisuflebis aRkveTa gaTvaliswinebulia 20 wlis vadiT. did britaneTSi es vada 14 welia [10].

ბევრმა ევროპულმა სახელმწიფომ მოახდინა ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია ეროვნული სამართლებრივი შეგნების ბუნებრივი ევოლუციის გათვალისწინებით².

ფულის გათეთრების შესახებ ტიპობრივი ევროპული ნორმის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 299-ე მუხლი, რომლის თანახმადაც დანაშაულის საგანია - ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით (ქონებრივი უფლებების ჩათვლით), რომლებიც მიღებულია სხვა პირის მიერ ანგარებითი დანაშაულის ჩადენის, ასევე იმ დანაშაულთა ჩადენის შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან, კონტრაბანდასთან, ყალბი ფულის დამზადებასთან, ყაჩაღობასთან, იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან. 299-ე მუხლის პირველმა პარაგრაფმა დაადგინა სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით სამიდან ხუთ წლამდე (ხოლო დამამძიმებელ გარემოებათა არსებობის პირობებში - 10 წლამდე) ვადით ამ საგნების მიღების, გადაცემის ან საზღვარგარეთ გატანისთვის, აღნიშნულისათვის ხელშეწყობის და სხვა მოქმედებებისთვის, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ მათი დანაშაულებრივი წარმომავლობის, ადგილმდებარეობის დადგენას, მათ აღმოჩენას, ამოღებასა და კონფისკაციას. ასეთსავე სასჯელს ითვალისწინებს 299-ე მუხლის მეორე პარაგრაფი დადგენილი წესების საწინააღმდეგოდ ნაღდი ფულის, სხვა სავალუტო ფასეულობათა მიღებისათვის, მათი ტრანსფერტის ან კონვერსიისათვის, თუ ქმედება ხორციელდება ისეთ გარემოებებში, როცა ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი ფასეულობათა პირველ პარაგრაფში მითითებული დანაშაულებიდან წარმომავლობის თაობაზე, ან ისეთ გარემოებებში, რომლებიც მოწმობენ, რომ მოქმედებები მიმართულია მათი დანაშაულებრივი წარმოშობის დაფარვისაკენ ან უზრუნველყოფენ ასეთი საქმიანობის უსაფრთხოებას. მეორე პარაგრაფში სუბიექტი ბანკის ან სხვა საფინანსო დაწესებულების მუშაკია. მესამე პარაგრაფის შესაბამისად, ბანკის ან სხვა საფინანსო დაწესებულების მუშაკი ისჯება ფინანსური ზედამხედველობის ორგანოებისთვის იმ ფინანსური ოპერაციის ჩატარების შესახებ შეტყობინებისაგან თავის არიდებისათვის, რომლის ჩატარების გარემოებები იწვევს დასაბუთებულ ეჭვს სახსრების წარმომავლობის თაობაზე. ამგვარ გარემოებებში მეოთხე პარაგრაფი ავრცელებს უმოქმედობისათვის პასუხისმგებლობას ასეთი მუშაკის ხელმძღვანელზე. ერთი მხრივ, 299-ე მუხლმა განიცადა გავლენა ამერიკული კანონმდებლობის მხრიდან, ცხადად აღქმულია “ფულადი სახსრების” (monetary instruments), “ფინანსური ოპერაციის” (financial transaction), “საფინანსო დაწესებულების” (financial institution) კონცეფცია, რომელიც არ ეხება მტკიცებულებითი სამართლის პრინციპებს, იგი გავლენას ახდენს მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების განსაზღვრაზე, განსაკუთრებით, მეორე და მესამე პარაგრაფებში, სადაც ხდება სუბიექტური ნიშნების ობიექტივაცია. ნორმებზე მუშაობისას უცხო გავლენისაგან მთლიანად თავის არიდება შეუძლებელი იყო, რადგანაც მან თავისი გამოხატულება ჰპოვა FAFATF -ის რეკომენდაციებში და სტრასბურგის კონვენციის 2-ე პუნქტში, სადაც განსაზღვრულია დირექტიული მოთხოვნა: “გაცნობიერება, განზრახულობა ან მიზანი, როგორც რომელიმე სამართალდარღვევის შემადგენლობის ელემენტები”³. მეორე მხრივ, პრინციპმა bis in idem

² garkveul gamonakliss warmoadgens espanetis sisxlis samarTlis kodeqsis 310-e muxli ("lavado de dinero"), romelic, Tavisi arsiT, ar emTxveva espanetis kanonmdeblobis koncefcias (SeiZleba mivuTiToT amave kodeqsis 301-e da 298-e, 240-e da 242-e muxlebis Sedareba) [11].

³ samwuxarod, mocemuli zemoqmedebis mTlianad arideba warmoudgenelia, rameTu man Tavisi asaxva FATF -ის rekomendaciebSi da strasburgis konvenciis me-2 punktis “c~ qvepunktSi hpova, romelSic Semdegi direqtiuli moTxovnaa gansazRvruli: `gacnobiereba an mizani, rogorc ama Tu im samarTaldarRvevis Semadgenlobis elementi, romlebic gaTvaliswinebulia mocemul punktSi, SesaZloa obieqtur da faqtobriv garemoebebidan iyvnen dadgenili~ [2].

უბიძგა კანონმდებელს უარი ეთქვა “გათეთრების” შერაცხვისაგან იმ პირისადმი, რომელიც მონაწილეობდა პირველადი დანაშაულის ჩადენაში, იურიდიული ტექნიკაც (მათ შორის ბრალის ნაწილშიც) ასევე შეესაბამება კონტინენტალური ევროპის ტრადიციებს. სანქციის ზომა შეპირისპირებადია სანქციის ზომასთან ქურდობისათვის.

გფრ-ის სისხლის სამართლის 261-ე პარაგრაფი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას “ფულის გათეთრებისათვის, უკანონოდ შეძენილი ფასეულობების” დამალვისათვის (Geldwasche; Verschleierung unrechtmässig erlangter Vermögenswerte)⁴. აღნიშნული მუხლი შეტანილი იქნა გფრ-ის სისხლის სამართლის კოდექსში 1993 წლის 15 ივნისის კანონით ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და ორგანიზებული დანაშაულობის გამოვლინების სხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ადმინისტრაციული მექანიზმი გფრ-ში შეიქმნა 1993 წლის 25 ოქტომბრის კანონით მიმდებარე დანაშაულებიდან მიღებული შემოსავლების გამოვლენის შესახებ.

261-ე პარაგრაფის პირველ ნაწილში სასჯელი დადგენილია თავისუფლების აღკვეთის სახით სამიდან ხუთ წლამდე 1) საგნების დამალვისათვის, 2) საგნების წარმომავლობის შენიღბვისათვის (verschleiern), 3) წინააღმდეგობების შექმნისათვის (vereitet oder gefährdet, სიტყვასიტყვით: Slis an uqmnis safrTxes) ამ საგნების წარმომავლობის დადგენის, მათი აღმოჩენის, გამოვლენის, კონფისკაციის ან დაპატიმრების მომენტში. 261-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის შესაბამისად “ასევე ისჯება ის, ვინც მითითებულ საგნებს იძენს, ინახავს ან იყენებს თავისთვის ან მესამე პირისთვის, თუ მან ქონების შეძენის მომენტში იცოდა მისი წარმომავლობის შესახებ”. დამამძიმებელ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში (დანაშაულის ჩადენა არაერთჯერადად ფულის გათეთრების მიზნით შექმნილი ბანდის წევრის მიერ და სხვა განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში) 261-ე პარაგრაფის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან ათ წლამდე. მეხუთე ნაწილი აყალიბებს ფულის გაუფრთხილებელი გათეთრების დამოუკიდებელ შემადგენლობას: თუ პირი თავისი დაუფიქრებლობის გამო ვერ აცნობიერებს საგნების წარმომავლობას კანონში მითითებულ დანაშაულთაგან, 261 პარაგრაფის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები ისჯება 2 წლით თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით. კანონით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ან სასჯელის შემსუბუქება სხვადასხვა სახის ქმედითი მონაწილების შემთხვევაში. გერმანული “ფულის გათეთრება” “იდეალურ კონკურენციას” (Idealkonkurrenz) უწევს დანაშაულის დაფარვას და დანაშაულის გზით მოპოვებული ქონების შეძენასა თუ გასაღებას [7. 762, 2043; 1. 79]. სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ სასჯელი ინიშნება იმ მუხლის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს.

გფრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე პარაგრაფის პირველ რედაქციაში გათვალისწინებული იყო პასუხისმგებლობა მხოლოდ “სხვა პირის” მიერ ჩადენილი ქმედებიდან მომდინარე ფასეულობების “გათეთრებისათვის”, უფრო ვიწროდ იყო განსაზღვრული პირველადი დანაშაულების და გადაცდომების წრეც. 1998 წლის 4 მაისის კანონმა ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფის მიზნით 261-ე

⁴ mocemuli muxli gfr-is ssk-Si narkotikebiT ukanono vaWrobis winaaRmdeg brZolis Sesaxeb 1993 wlis 15 ivლისის kanonis da organizebuli danaSaulobis gamovlenis sxva formebis meSveobiT iqna Seyvanili. gfr-Si fulis gaTeTrebis winaaRmdeg brZolis administraciuli meqanizmi 1993 wlis 25 oqtombris mZime danaSaulidan miRebuli Semosavlis gamovlenis Sesaxeb kanons efuZneba [5].

პარაგრაფიდან ამოიღო მითითება ფასეულობათა “სხვა პირის”⁵ დანაშაულიდან (გადაცდომებიდან) მომდინარეობის შესახებ. 261-ე პარაგრაფის მეცხრე ნაწილის მეორე პუნქტში პირდაპირაა დაფიქსირებული, რომ ძირითადი დანაშაულის თანამონაწილე არ ისჯება ფულის გათეთრებისათვის. გერმანულ სამართალმცოდნეობაში ფულის გათეთრება განიხილება დანაშაულთან “შემხებლობის” (Anschlussdelikte) სახით. კანონში ცვლილებების შეტანამ საშუალება მისცა პასუხისგებაში მიეცათ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული ძირითადი დანაშაულის ჩადენაში (მაგალითად, წამქეზებლები), რომლებიც ათეთრებენ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს. უფრო ადრე გაფართოებულ იქნა პირველადი გადაცდომების წრე (კერძოდ, მას დაემატა საგადასახადო გადაცდომები). არსებითად გერმანულის მსგავსია, მაგრამ უფრო ლიბერალურია ავსტრიული ნორმა ფულის გათეთრების შესახებ, რომელიც დადგენილია ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე პარაგრაფით (Geldwascherei) (სადაც უკვე განსაზღვრულია პირველად დანაშაულთა წრე, უფრო რბილია სასჯელი, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ ფასეულობათა გათეთრებისათვის, რომლებიც მიღებულია სხვა პირის მიერ ჩადენილი ქმედებების შედეგად).

სუბიექტური ნიშნების განსაზღვრის მკაცრი ნორმა “ფულის გათეთრების” შესახებ (Geldwascherei, blanchiment d’argent, riciclaggio di denaro) გათვალისწინებულია შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 305-ე მუხლით, რომელიც შემოღებულ იქნა 1990 წლის 23 მარტის კანონით: “1) ვინც ჩაიდენს მოქმედებას, რომელსაც შეუძლია შეუქმნას წინააღმდეგობა იმ ქონებრივი ფასეულობების წარმომავლობის დადგენას, გამოვლენას და ამოღებას, რომლებიც, როგორც მან იცის ან უნდა ვარაუდობდეს, მიღებულია დანაშაულის შედეგად, ისჯება პატიმრობით ან ჯარიმით. 2) მძიმე შემთხვევა ისჯება პატიმრობით 5 წლის ვადით⁶, ასევე თავისუფლების აღკვეთას ემატება ჯარიმა 1 მილიონ ფრანკამდე. მძიმე შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე: ა) მოქმედებს, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციის მონაწილე; ბ) მოქმედებს, როგორც ბანდის წევრი, რომელიც შექმნილია ფულის გათეთრების გასაგრძელებლად; გ) ფულის გათეთრება რეწვის სახით იზრდება დიდ ბრუნვამდე ან იძლევა მნიშვნელოვან მოგებას. 3) დამნაშავე ასევე ისჯება, თუ ძირითადი მოქმედება ჩადენილია საზღვარგარეთ და ის დასჯადია ჩადენის ადგილზე”. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 305-ე მუხლი ადგენს სასჯელს ერთ წლამდე პატიმრობის და ჯარიმის სახით, “ფინანსურ ოპერაციებში არასაკმარისი სიფხიზლისათვის”, სხვა პირის კუთვნილი ქონებრივი ფასეულობების მიღებისა და შენახვისათვის, განთავსებაში ან გადაგზავნაში დახმარებისათვის. რუსეთის ფედერალური კანონის, “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების) წინააღმდეგ მოქმედების შესახებ”, მე-7 მუხლში ლაპარაკია ფინანსისტის მნიშვნელოვნად უფრო მოკრძალებულ ამოცანაზე: მოახდინოს იმ პიროვნების იდენტიფიცირება წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, რომელიც ახორციელებს აუცილებელ კონტროლს დაქვემდებარებულ ოპერაციებს, ან ხსნის ანგარიშს (დეპოზიტურ ანაბარს).

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 305-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ბანკირების, ფინანსური აგენტების და სხვათა უფლებას გადასცენ ხელისუფლებას ცნობები, რომლებზედაცაა დაფუძნებული მათი ეჭვი ფასეულობათა დანაშაულებრივი წარმომავლობის თაობაზე. ამ ნორმამ, რომელიც მიღებულია 1994 წელს, გაათავისუფლა

⁵ amasTan erTad \$ 261 me-9 nawilSi pirdapir miTiTebulia, rom ZiriTad danaSaulSi Tanamonawile ar isjeba fulis gaTeTrevisaTvis. germanul doqtrinaSi fulis gaTeTreba ganixileba rogorc danaSaulTan “Semxebloba” (Anschlussdelikte).

⁶ Sveicarul samarTalSi arsebobs Tavisuflebis aRkveTis ramodenime saxe [8].

ბანკირები პასუხისმგებლობისაგან ასეთ გარემოებებში საბანკო საიდუმლოებათა გათქმისათვის.⁷

ევროპაში ერთ-ერთი უახლესი კანონი ფულის გათეთრების შესახებ შემოღებულია საფრანგეთში 1996 წლის 13 მაისის კანონით 196-392, უკვე სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედების შემდეგ⁸. საფრანგეთში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლების გათეთრებისათვის პირველად იქნა დადგენილი 1987 წლის 31 დეკემბრის კანონით. სისხლის სამართლის კოდექსში ეს ნორმა (შემდგომი ცვლილებებით) გამყარებულია მუხ. 222.38 - ში. 1996 წლის 13 მაისის კანონს ეს ნორმა არ გაუქმებია და ის ინარჩუნებს დამოუკიდებელ მნიშვნელობას (იმასთან დაკავშირებით, რომ ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლების გათეთრებისას გამოიყენება უფრო მკაცრი პროცესუალური წესები). სპეციალური ნორმა სექსუალური ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლების გათეთრების შესახებ გათვალისწინებულია სსკ 225.6 მუხლით.

საფრანგეთის სსკ-ს მუხ. 324.1 განსაზღვრავს “გათეთრებას” (le blanchiment), როგორც “ქონების ან შემოსავლების წარმოშობის ნებისმიერი ხერხით ცრუ გამართლების მხარდაჭერას (უფრო ზუსტად გაადვილებას: faciliter) დანაშაულის ან გადაცდომის მონაწილისათვის, რომელიც აქედან პირდაპირ ან ირიბ სარგებელს იღებს.”⁹ “გათეთრების” სახით განიხილება აგრეთვე დანაშაულის ან შეცოდების შედეგად მიღებული პირდაპირი ან ირიბი შემოსავლის განთავსების, დაფარვის ან გარდასახვის ოპერაციისათვის ხელშეწყობა. შესაბამისად, პირველ შემთხვევაში ბრალდება უნდა დაამტკიცოს, რომ დამნაშავემ გააცნობიერა, რომ ხელს უწყობს დამნაშავეს მის მიერ დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების გათეთრებაში. მეორე შემთხვევაში ეს საჭირო არაა, მაგრამ აუცილებელია იმ ფაქტის დამტკიცება, რომ პირი აცნობიერებდა, რომ ესა თუ ის ფასეულობები წარმოადგენენ დანაშაულიდან მიღებულ შემოსავალს, და ამასთან, ხელს უწყობდა ასეთი შემოსავლის განთავსების, დამალვის ან გარდასახვის ოპერაციას. “გათეთრება” ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმით 2,5 მილიონი ფრანკის ოდენობით, ხოლო დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში (მუხ. 324.2, როცა იგი სისტემატიურ ხასიათს ატარებს იმ შესაძლებლობების გამოყენებით, რომლებიც პირს გააჩნია პროფესიული საქმიანობასთან დაკავშირებით, ან ჩადენილია ორგანიზებული ბანდის მიერ) – 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმით 5 მილიონ ფრანკამდე. ჯარიმის ოდენობა შეიძლება იქნას გაზრდილი სასამართლოს მიერ გათეთრებული ფასეულობების ღირებულების ნახევრამდე.

⁷ fulis gaTeTrebis Sesaxeb 1998 wlis Sveicariul federalur kanonSi mocemuli ufleba savaldebulo gaxda.

⁸ safrangeTSi narkobiznesidan miRebuli Semosavlebis gaTeTrebisTvis sisxlissamarTlebrivi pasuxismgebloba pirvelad 1987 wlis 31 dekembris kanoniT iqna dawesebuli. ssk-Si mocemuli norma (Semdgomi cvlilebebiT) asaxulia 222.3-e muxlSi. 1996 wlis 31 maisis kanonma ar gaauqma mocemuli norma, romelic damoukidebel mniSvnelobas inarCunebis (narkobiznesidan miRebuli Semosavlebis gaTeTrebasTan dakavSirebiT gamoiyeneba SedarebiT mkacri procesualuri wesebi). prostituciis eqspluataciidan miRebuli Semosavlebis gaTeTrebis Sesaxeb specialuri norma gaTvaliswinebulia ssk-is 225.6-e muxliT [3].

⁹ Sesabamisad, pirvel SemTxvevaSi braldebam unda daamtkicos, rom braleuli piri acnobierebda damnaSavis mier Cadenili danaSaulidan miRebuli Semosavlebis gaTeTrebaSi xelis Sewyobas. meore SemTxvevaSi es ar moiTxoveba, Tumca aucilebelia im faqtis damtkiceba, rodesac piri acnobierebda, rom esa Tu is Rirebulebebi danaSaulidan miRebul Semosavals warmoadgens da amasTanave xels uwyobs ganTavsebis operaciebs, zemoaRniSnuli Semosavlebis dafarvas an gardaqmnas [6, 612]; [9, 83-84].

გამოყენებული ლიტერატურა

1. Blank T. Strafrecht. 2001. Sonstige Vermögensdelikte. *Besonderer Teil*, 1/3. Koln
2. Convention on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime. 8.XI.1990. Strasbourg.
3. Criminal Code of The French Republic. 2010.
4. Delmas-Marty M. 1992. *Les grands systems de politique criminelle*. Paris.
5. German Criminal Code. 2010. juris GmbH. Saarbrücken.
6. Pradel J., Danti-Juan M. 2001. *Manuel de droit penal special*. Paris.
7. Schonke/Schroder Strafgesetzbuch Kommentar. 2001. Munchen.
8. Swiss Criminal Code of 21 December 1937 (Status as of 1 October 2011)
9. Jeandidier W. 2000. *Droit penal des affaires*. Paris.
10. The General Civil Penal Code. 2006. Norwegian Ministry of Justice Legislation Department.
11. Уголовный кодекс Испании. 1998 М.: Зерцало.

Giorgi Shashiashvili
Grigol Robakidze University

Criminal Responsibility for “Money Laundering” in some European Countries

The article states that the norms in criminal law in the countries of the Continental Europe were mostly formed under the influence of the American policy, though the Roman-German legal family traditions were also considered in the sphere of combat money laundering which, in its turn, stipulated the peculiarities of the adopted norms. Criminalization of revenue laundering started in Europe in the second part of the 80-ies of the last century when Denmark, the Great Britain, France and Norway adopted the relevant laws.

The criminal legislation codification, the higher level of development of legal technique and generally the criminal legal dogmatism, also the strictly limited borders of the will of the law makers on the qualification stage clearly manifested the issue of reasonable conformance of the money laundering norms competition with the norms concerning purchasing stolen items purchase and concealing the crime.

Unlike the American norms, the European ones are distinguished for their high level of generalization.

In comparison with the American punishment, the term (or the volume) of the punishment for money laundering is practically decreased everywhere to the reasonable maximal level of the sanction for non violating crime and the term of imprisonment for such crimes does not exceed 10 years; fines are also widely applied.

Development of the norms concerning money laundering in Europe was greatly influenced by the Strasbourg Convention on “Convention on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime” of November 8, 1990.

Many European states performed criminalization of money laundering in consideration with the natural development of the national legal consciousness. The paragraph 299 of the Penal Code of

Poland may be manifested as an example of a typical European norm about money laundering. The subject of crime may be money, securities and other property with the wide essence of this meaning (including the interests), that are gained as a result of the crime committed by another individual for mercenary ends as well as the commitment of the crimes connected with illegal circulation of drugs and psychotropic substances, smuggling, manufacturing of false money, robbery, illegal circulation of ammunition, explosive substances and arms. The first clause of the paragraph 299 established the punishment with the term of imprisonment from three to five years (in case of aggravating circumstances – up to 10 years) for acceptance, transfer or taking these items abroad, also for supporting such action and any other action that may prevent the identification of their criminal origination, location, their detection, seizure and confiscation. The same punishment is provided by II clause of the paragraph 299 for acceptance of cash and other currency against the established rules, for their transfer or conversion if the action takes place in the circumstance that arises the motivated suspicion of origination of the crimes stipulated in the first clause, or the circumstances that confirm that such actions are directed to conceal their criminal origination and maintain the security for such activity. The subject in the second clause is the employee of a bank or other financial institution. In accordance with the third clause, the employee of the bank or other financial institution will be punished for avoidance to notify the financial supervisory organs about conduction of the financial operation, the circumstances of conduction of which arises the motivated suspicious of origination of the assets; in such circumstance the fourth clause imposes the responsibility to the supervisor of such employee for an inaction. The first edition of the paragraph 299 was influenced by the American legislation; the conception of monetary instruments, financial transaction and financial institution is clearly reflected and perceived; this conception does not approach any principle of evidential law. It only influences the determination of the signs of a crime composition, especially, in the second and third clauses where the objectification of subjective signs is provided.

The paragraph 261 of the criminal legislation of the Federal Republic of Germany envisages the responsibility for money laundering and concealment of the valuables obtained illegally (*Geldwasche; Verschleierung unrechtmässig erlangter Vermögenswerte*). The mentioned paragraph was entered in the Penal Code of the Federal Republic of Germany under the Law of June 15, 1993 on Combat Illegal Trade of Drugs and Other Forms of Organized Crimes. The administrative mechanism of the struggle against money laundering was established in the Federal Republic of Germany on the basis of the Law of October 25, 1993 on “Reveal of Revenues Gained from Serious Crimes”.

The paragraph 261 of the Penal Code of the Federal Republic of Germany envisaged the responsibility for laundering the valuables resulted in the actions fulfilled only by “another individual”, i.e. the circle of the initial crimes and faults had rather close limits. For the purposes of improving the struggle against an organized crime, the Law of May 4, 1998 deleted the issue of the crime by “another individual” from the paragraph 261. The second clause of the ninth part of the paragraph 261 directly indicates that the accessory to the principal crime is not punished for money laundering. German jurisprudence considers money laundering in the capacity of crime (*Anschlussdelikte*). Amendments to the law gave the opportunity to impose the responsibility on non accessory to the principal crimes (e.g. instigators) but only laundered the revenues gained from their illegal business. The close limits of initial faults (offences) were widened earlier (tax offences were added to it). The Austrian norm concerning money laundering is substantially similar to the German one though it is more liberal. Money laundering is prescribed by the paragraph 165 (*Geldwascherei*) of the Penal Code of Austria (the circle of initial crimes is already determined; the punishment is lighter; the responsibility is imposed for laundering of the valuables that are gained as a result of the action carried out by only another individual).

In determination of the subjective signs a strict norm on money laundering (Geldwascherei, blanchiment d'argent, riciclaggio di denaro) is envisaged by the paragraph 305 of the Penal Code of Switzerland which was adopted under the Law of March 23, 1990. The paragraph 305 of the Penal Code of Switzerland imposes the punishment with the term of imprisonment up to one year and the fines "for insufficient caution in financial operations", for acceptance and keeping the property belonging to another person, also for assistance to accommodation of such items or their transfer. The second part of the paragraph 305 of the Penal Code of Switzerland considers the right of bankers, financial agents and other persons to give the government the references evidencing their suspicion on criminal origination of the valuables. This norm, adopted earlier in 1994 released the bankers from the responsibility for disclosure of bank secrets in such circumstances. This right became mandatory in the Law of 1998 of Switzerland on Money Laundering.

One of the newest laws on money laundering in Europe was adopted in France under the Law #96-392 of May 13, 1996. In France, criminal responsibility for laundering the revenues gained from narco business is punished for the term of imprisonment of up to five years and the fine in amount of 2,5 million Francs; in case of aggravating circumstances the term of imprisonment is up to 10 years and the fine is up to 5 million Francs. The fine amount may be increased by the court up to the half of the laundered valuables.